სახელმწიფოს ჩარევა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე

ოთარ ჯინჭარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023 წ.

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ სხვა მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ოთარ ჯინჭარაძე, 07.06.2023

აბსტრაქტი

საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტების, მიზანი შექმნის დღიდან მშვიდობის დამყარება იყო. დროთა განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს; თუმცა, პერიოდულად, მათი მხრიდან ფიქსირდებოდა დევიაციური ფაქტები წამყვანი წევრი-სახელმწიფოების მხრიდან. აღნიშნული გადაცდომები ხშირად გამოიხატებოდა ეთნიკურ/სამოქალაქო კონფლიქტების განწვავება/მორეგულირების პროცესებში, როცა სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ.

რეჟიმის, რაციონალური, ნეოლიბერალურ ინსტიტუციური, დოქტრინული და მომწიფების თეორიების მეშვეობით კვლევა ცდილობს ახსნას აღნიშნული ქეისების შემთხვევაში როგორ და რატომ ხდება კონკრეტული სახელმწფოს ჩარევა საერთაშორისო ორგანიზაციის გაადაწყვეტლების მიღების პროცესზე.

წარმოდგნილი კვლევის მეშვებით განისაზღვრა ძლიერი სახელმწიფოების საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩართულობისა და გავლენის ხარისხი. ნაშრომში შესწავლილია კონკრეტული სახელმწფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციის გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ეთნიკური თუ სამოქალაქო კონფლიქტური პროცესის მის სასრგებლოდ გადასაწყვეტად.

კვლევაში განხილულია სამი ქეისი: 2011 წლის ლიბიაში საფრანგეთის ინტერვენცია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომი. აღნიშნული ქეისებით განისაზღვრა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. მსგავსი ფაქტები ეჭვის ქვეშ აყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციის მიუკერძოებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო ორგანიზაცია, ძლიერი სახელმწიფო, ორგანიზაციაზე გავლენა, ეთნიკური/სამოქალაქო კონფლიქტი, კონფლიქტური რეგიონი

Abstract

The aim of the international Organizations, as the independent institutions, since their foundation has been making and building the peace. As a rule, the international organization fulfills its own functions though time after time some of the member states make an attempt to implement their own interests.

The research hypothesis is deducted from regime, rational, neoliberal institutional, doctrinal and ripeness theories to explain the following cases – France intervention in Lybia (2011), the 2008 Russo-Georgian war, and the second Karabakh war (2020). The listed theories are applied to test the mentioned cases along with the empirical data to elaborate why and how the concrete state, in most of the cases influential state, tries to impact the international organizations' decision-making processes.

The present research investigates the degree of involvement and influence of the powerfull states on the international organizations when they try to regulate the ethnic/civil conflicts. The work examines instrumentalisation of an international organization by a particular state for its own interests aiming to intensify/resolve various civil or conflicts on its own benefit.

Key Words: international organization, powerfull state, ethnic/civil conflict, conflict region.